# BSB257 ZEWSGES (ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოსდაცვითი სტატუსისთვის) პროექტი

## ZEWSGES პროექტის მე-4 (ფინალური) კონგრესი/ვორკშოპი
## ონლაინ 08:00-10:30 CET 21 იანვარი 2021
## მასპინძლტეკირდაგის ნამიკ ქემალის სახელობის უნივერსიტეტი
## ტეკირდაგი-თურქეთი

პროექტის მეოთხე ფინალური კონგრესი/ვორკშოპი გაიმართა ონლაინ 2021 წლის 21 იანვარს და მას მასპინძლობდა ნამიკ ქემალის სახელობის უნივერსიტეტი ტეკირდაგიდან, თურქეთი. მის მოდერაციას ეწეოდა პროფ. ფატიხ კონკჩუ.

**სესია 1: მისასალმებელი სიტყვები და პრეს-კონფერენცია**

სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კერძოდ **გიორგი მესხიძე,** საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას პრეზიდენტი, - საქართველო, **სონია ენილოვა,** TDCNM წარმომადგენელი, ნესებარი, ბულგარეთი, **ნიკიტა კარპენკო,** UKRMEPA პრეზიდენტი - უკრაინა, **ბელნეტ ეკერი,** TNKU პრორექტორი, **სერკან ბოზკურტი,** თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და **ჯორჯიანა ბრატუ,** JTS-რუმინეთი გააკეთეს მოკლე მისალმებები. **სულ 44 ადამიანი** მონაწილეობდა ამ ონლაინ შეხვედრაში. პრიველი სესიის ბოლოს დარიგდა პრესრელიზი მედიის წარმომადგენლებისთვის.

**სესია 2: ZEWSGES პროექტის შეჯამება**

მეორე სესიაზე, პროექტის კოორდინატორმა **ალი სირი ორენმა** (TNKU-TURKEY) და **სონია ენილოვამ,** პროექტის კოორდინატორი - TDCNM, ბულგარეთი, **ნიკიტა კარპენკომ** პროექტის კოორდინატორი, UKRMEPA, უკრაინა, **მამუკა გვილავა,** პროექტის კოორდინატორი, კივიტას გეორგიკა, საქართველო გააკეთეს პრეზენტაციები პროექტის და მისი განხორციელებისას მიღწეული შედეგების შესახებ თავიანთ ქვეყნებში. პრეზენტაციებიდან ცხადი გახდა, რომ პროექტმა მიაღწია დასახულ მიზნებს. **სულ 39 ადამიანი** მონაწილებდა მე-2 სესიაში

**სესია 3: ZEWSGES პროექტის ეკოსისტემის საგანმანათლებლო პროგრამის (EEP) & საზღვაო ნარჩენების (ML) მონიტორინგის მიმოხილვა**

ამ სესიაზე მოხდა EEP და ML საქმიანობების შედეგების განხილვა. სულ 38 ადამიანი მონაწილეობდა სესიაში. ფატიხ კონჩკუმ (EEP in TNKU) შეაჯამა განხორციელებული აქტივობები, ხოლო ლოკმან ფაკანმა TECER (MEC of NKU) შეაჯამა საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის შედეგები. იკიტა კარპენკომ (უკრაინა), ფანი შემერდეზიევამ (ბულგარეთი) და თამარ წამალაშვილმა, ZEWSGES ME კოორდინატორმა(საქართველო) წარმოადგინეს შედეგები

სანაპიროს დასუფთავების შესახებ და  მამუკა გვილავამ, პროექტის კოორდინატორი, კივიტას გეორგიკა, საქართველო წარმოადგინა საზღვაო ნარჩენების დასუფთავების შედეგები.

**სესია 4: პროექტის საკოორდინაციო შეხვედრა:** ZEWSGES პროექტის დახურვის ცერემონია და შედეგების შეჯამება.  პროექტის გუნდებმა, სულ 13 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.





მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი
გამოქვეყნების თარიღი: 11 თებერვალი,  2021წ.
ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანადაფინანსებულია ევროკავშირს მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიქ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.